თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №603015

ნომერი: AR1113539

თარიღი : 04.03.2013

გაცემის თარიღი : 22.03.2013

გაცნობის თარიღი : 25.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , გზატკეცილი წყნეთი , N36ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამულაშვილი პ/ნ 01018000427
- თბილისი ვ.პეტრიაშვილის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 იანვრის #504741 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 04 მარტს #AR1113539 განცხადებით მომართა მოქ. ლევან მამულაშვილმა და მოითხოვა არქიტექტურულ პროექტის შეთანხმების შესახებ 2013 წლის 15 იანვრის #504741 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების ნაწილში, ტექნიკური შეცდომის გასწორება და ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 15.01.2013 წ. #504741 ბრძანებით ქ. თბილისში, ბაგები, გზატკეცილი წყნეთი #36ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი გაიცა მშენებლოს ნებართვა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ საერთო ფართში შემავალი ფართების შეჯამების დროს დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, რამაც გამოიწვია ცდომილება საერთო ფართის მითითების დროს. სამსახურმა გადაამოწმა შეთახმებული არქიტექტურული პროექტი და დაადგინა, რომ ტექნიკური შეცდომა იქნა დაშვებული სხვადასხვა სართულზე არსებული ფართების დაჯამების დროს, რამაც გამოიწვია ცდომილება საერთო ფართში. შეთანხმებული აქტის მიხედით საერთო ფართი შეადგენს-5266.6 კვ.მ.-ს და უნდა იყოს 5267.4 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის ნიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები, შეიტანოს ცვლილება და დამატება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან საერთო ფართში შემავალი ფართების მითითების დროს დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, რამაც გამოიწვია ცდომილება საერთო ფართის დაფიქსირების დროს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 15.01.2013 წ. #504741 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში და საერთო ფართი, ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

• საერთო ფართი-5267.4 კვ.მ.;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 15.01.2013 წ. #504741 ბრძანებასთან ერთად;

3. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.